თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. თელავი 23.08.2021 წელი

თავმჯდომარეობდა: **დავით გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი; ნანა ხვისტანი; აზრამ მახარიაშვილი; ზურაბ ლილუაშვილი; გიგა მამუკელაშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **მედეა ჩაფურიშვილი;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსი - **ნინო ჩურხაული.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის შესახებ.

**მომხსენებელი - დ. გოგოშვილი**

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა მოკლედ მიმოიხილა წარმოდგენილი ბიუჯეტის 6 თვის შედეგები. კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საბიუჯეტო განყოფილების უფროსს-**ნ. ჩურხაულს.**

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის განმავლობაში განისაზღვრა 37509,38 ათ. ლარის ოდენობით.

აქედან, შემოსავლების გეგმა 6 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 11299,36 ათ.ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 12876,19 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 113,96%-ით. გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 10699,86 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 110,29%-ით. დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულდა 7242,58 ათ. ლარით, დაგეგმილი იყო 7220,7 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100,3%-ით. ქონების გადასახადი შესრულდა 139,35%-ით. დაგეგმილი იყო 2481,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3457,27 ათ. ლარი. გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 81,81%-ით. დაგეგმილი იყო 752,97 ათ. ლარი და ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 616,033 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 844,71 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 1560,303 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 184,72%-ით. მათ შორის, პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები 6 თვეში შესრულდა 206,05%-ით. მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შესრულდა გადაჭარბებით 233,33%-ით. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შესრულდა 189,38%-ით.

ასევე გადაჭარბებით - 174,81%-ით შესრულდა ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლები. გეგმა - 418,3 ათ. ლარი, შესრულება - 731,17 ათ. ლარი.

გადაჭარბებით შესრულდა შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 125,007 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 21,0 ათ. ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა შესრულდა 236,60%-ით. დაგეგმილი იყო 670,0 ათ. ლარი, მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1585,25 ათ. ლარი.

სულ შემოსულობების გეგმა 6 თვის განმავლობაში შესრულდა 120,82%-ით. 2021 წლის 6 თვეში დაგეგმილი იყო 11969,4 ათ. ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავლებმა კი შეადგინა 14461,44 ათ. ლარი.

რაც შეეხება გადასახდელებს 6 თვის განმავლობაში შესრულდა 87,07%-ით. დაგეგმილი იყო 15836,83 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 13788,66 ათ. ლარი.

2021 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდიდან არ განხორციელებულა ხარჯვა.

2021 წლის 01 ივლისისთვის ნაშთმა შეადგინა 2074,3 ათ. ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან, მიზნობრივი ტრანსფერებიდან და სხვა ტრანსფერებიდან, 8680,31 ათ. ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ნაშთის ცვლილებამ ამ პერიოდის განმავლობაში შეადგინა 672,79 ათ. ლარი.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ წარმოდგენილი მიმოხილვა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (შეფასება თან ერთვის) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი

შ ე ფ ა ს ე ბ ა

**თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის შესახებ**

2021 წლის 23 აგვისტოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვა.

წარმოდგენილი მიმოხილვის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის კვარტალური (6 თვის) გეგმა შემოსულობების ნაწილში შესრულდა 120,82%-ით, (დაგეგმილი იყო - 11969,4 ათ. ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა - 14461,44 ათ. ლარი), რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატება (გეგმა -13593,33 ათ. ლარი, შესრულება -11693,97 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 86,03%-ით).

გადასახდელების ნაწილში გეგმა შესრულდა 87,07%-ით. გეგმა - 15836,83 ათ. ლარი, შესრულება - 13788,66 ათ. ლარი, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უმნიშვნელოდ არის გაზრდილი

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის 01 ივლისის მდგომარეობით არსებული ნაშთი გაწერილია ვალდებულებების მიხედვით, რომლის ათვისებაც მოხდება მომდევნო მესამე/მეოთხე კვარტალში.

„თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვა“ კომისიამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად.